ლიზი ლაღაძე

კავკასიის სამართლის სკოლა

ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი

,,2024 წლის გაზაფხულის სემესტრში მქონდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიმეღო Erasmus+ გაცვლით პროგრამაში და მესწავლა ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში როტერდამში, ნიდერლანდებში, სადაც 6 თვის განმავლობაში ვსწავლობდი საერთაშორისო სამართალს.

საზღვარგარეთ სწავლა ყოველთვის ჩემი ოცნება იყო და ეს გამოცდილება იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე წარმოვიდგენდი - ეს იყო ნამდვილი ცხოვრებისეული გამოცდილება. კურსები იყო ინტელექტუალურად მასტიმულირებელი, რაც დამეხმარა, არა მხოლოდ ახალი რაკურსით შემეხედა გლობალური სამართლებრივი საკითხებისთვის, არამედ მიმიღო დიდი პრაქტიკული ცოდნაც. ასევე, შევძელი მონაწილეობა მიმეღო მნიშვნელოვან დისკუსიებში, ევროკავშირის მოდელირების სესიებში და პრაქტიკაზე დაფუძნებულ დავალებებში, რომლებიც მოიცავდა ურთიერთობას პროფესორებთან და თანამოაზრეებთან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

საკლასო ოთახის მიღმა სემესტრი სავსე იყო დაუვიწყარი თავგადასავლებით. ვიმოგზაურე ხუთ ქვეყანაში და თითოეულმა მოგზაურობამ მომცა უნიკალური გამოცდილება და გაკვეთილი, რადგან გაამდიდრა ჩემი ხედვა სხვადასხვა კულტურისა და სამართლებრივი სისტემების შესახებ. მადლიერებით ვარ სავსე იმ გამოცდილებისთვის, რომლებმაც საკუთარი თავის ახალი ვერსია გამაცნეს. მნიშვნელოვანი იყო იმის გაანალიზება, რომ არა მხოლოდ აკადემიურად, არამედ პიროვნულადაც ვიზრდებოდი, რადგან უცხო ქვეყანაში სწავლისა და ცხოვრების გამოწვევები და ტრიუმფები დიდ გავლენას ახდენდა ჩემზე. შევიძინე მეგობრები, დამრჩა სანუკვარი მოგონებები მათთან დაკავშირებით.

ჩვენი ოცნებებისკენ მიმავალი გზა ღირს ყოველ რთულ ნაბიჯად და გამოცდილებად, რადგან მთავარი არა დანიშნულების ადგილი, არამედ ის ტრანსფორმაციაა, რომელსაც იქ მისვლამდე განვიცდით. შესაბამისად, გირჩევდით, რომ ერთხელ მაინც მოუსმინოთ თქვენს გონებას, გულის ნაცვლად და ენდოთ სამყაროს, რადგან მან ზუსტად იცის, სად გაგვიკვალოს გზა! ყველას, ვინც საზღვარგარეთ სწავლას განიხილავს, გირჩევთ, რომ არ გაუშვათ ეს შესაძლებლობა ხელიდან.

და ბოლოს, წარმატება არ მოიაზრებს მხოლოდ მიღწევებს, არამედ იმ ადამიანად ჩამოყალიბებას, რომელსაც ამ მიზნების ცხადყოფა შეუძლია. ამიტომ, არ შეგეშინდეთ, გამოდით კომფორტის ზონიდან, შეავსეთ აპლიკაცია “and just trust me you’ll be fine!''